



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 28 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №109/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 11 ივნისის №109 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 ივნისის №298/109-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 10 ივლისს.

1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული 2019 წლის 2 მაისის და 2019 წლის 20 მაისის განჩინებების კანონიერებას ხდის სადავოდ. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ ერთ შემთხვევაში, არასწორად განსაზღვრა სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ხოლო მეორე შემთხვევაში, დაარღვია დისპოზიციურობის პრინციპი, გასცდა მოსარჩელის მოთხოვნას და იმსჯელა იმ საკითხზე რაც მხარეს არ ჰქონდა მოთხოვნილი.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2019 წლის 1 მაისს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ პირგასამტეხლოს ნაწილში სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. 2019 წლის 2 მაისის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. 2019 წლის 6 მაისის ხელწერილით განჩინება ჩაბარდა მოსარჩელის წარმომადგენელს.

2.2. -- -- 2019 წლის 17 მაისს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ პირგასამტეხლოს ნაწილში სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. 2019 წლის 20 მაისის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2019 წლის 29 მაისს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს განჩინების ჩაბარების და საქმის მასალების დაბრუნების თაობაზე. 2019 წლის 30 მაისის ხელწერილის მიხედვით მოსარჩელის წარმომადგენელმა ჩაიბარა განჩინება და საქმის მასალები.

2.3. -- -- 2019 წლის 30 მაისს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ პირგასამტეხლოს ნაწილში სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.

2019 წლის 31 მაისის განჩინებით -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, აღმასრულებელს დაევალა ნოტარიუს -- -- მიერ 02.04.2019 წელს გაცემული №-- სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან კრედიტორის - -- -- არასადავო ვალდებულების (-- ლარი), ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა ხარჯებისა და საფასურის დაფარვის შემდეგ დარჩენილი თანხებიდან -- ლარი, მათი არსებობის შემთხვევაში, განათავსოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე; -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა №-- სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების სრულად შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 11 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს მოსამართლის აცილების თაობაზე. 2019 წლის 17 ივნისის განჩინებით -- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 26 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის გამოხმობის თხოვნით. 2019 წლის 27 ივნისის განჩინებით -- -- წარმომადგენლის განცხადება სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ივლისის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

3.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული

ინტერესის დასაცავად. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში მითითებული პირობების დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის 38-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა, გარდა ამავე კოდექსის 187³ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სახელმწიფო ბაჟის ოდენობა: პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირისათვის – 3 000 ლარს;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ბათილად იქნას ცნობილი პირგასამტეხლოს ნაწილში სააღსრულებო ფურცელი და მოსარჩელე გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს გადახდისგან, ხოლო მოსარჩელის მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სრულად.

3.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ამავე კოდექსის, 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, გარდა ამავე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.

სასამართლომ განმარტა, რომ რამდენადაც საქმე ეხებოდა იპოთეკით უზრუნველყოფილ მოთხოვნას, ამასთან სადავო სააღსრულებო ფურცლით დაწყებული წარმოება სწორედ იპოთეკის საგნის რეალიზაციას ისახავდა მიზნად, შეუძლებელი იყო სააღსრულებო წარმოების ე.ი. იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაწილობრივ შეჩერება სადავო თანხის ნაწილში.

მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და მოცემული საკითხების

შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მხარეს არც ერთი განჩინება არ გაუსაჩივრებია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ივლისის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- №109 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი